საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1643 2016 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №252 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, განახორციელოს სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებისთვის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის (CPV32320000) სახელმწიფო შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი